საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა და საგარეო ვაჭრობის ანალიზი

ლელა კოჭლამაზაშვილი
სტუ-ს პროფესორი
ნათია ტეტუნაშვილი
სტუ-ს დოქტორანტი
ელ. ფოსტა: natiatetunashvili@gmail.com

რეზიუმე

საგარეო ვაჭრობის განვითარება და საქონელბრუნვის ზრდა საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდა, ხელი შეუწყოს ადგილობრივი წარმოების გაფართოვებას და შესაბამისად მოსახლეობის დასაქმების ზრდას, მოახდინოს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ფორმირება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა, დააჩქაროს მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრირების პროცესი. სტატიაში განხილულია საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა და საგარეო ვაჭრობის ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: სავაჭრო პოლიტიკა, არასატარიფო ღონისძიებები, სავაჭრო რეჟიმი, წარმოშობის სერტიფიკატი, ექსპორტი, იმპორტი.

სავაჭრო პოლიტიკა ეს არის საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილების მარეგულირებელი აქტების საფუძველზე მოქმედი სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებები.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის სატარიფო ღონისძიება განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათავლისწინებული იმპორტის გადასახადით. რაც შეეხება არასატარიფო ღონისძიებებს, ის მოიცავს ნებართვებს, ლიცენზიებს, აკრძალვებს, შეზღუდვებს და ა.შ.

საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა ხასიათდება გამარტივებული საგარეო ვაჭრობის რეჟიმებით და საბაჟო პროცედურებით, დაბალი საიმპორტო ტარიფებითა და მინიმალური არასატარიფო რეგულირებით:

1. დაბალი გადასახადები იმპორტზე: საბაჟო გადასახადები დაწესებულია მხოლოდ ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და სამშენებლო მასალებზე;

2. რაოდენობრივი შეზღუდვების არასებობა: საქართველოს არ გააჩნია რაოდენობრივი შეზღუდვები (კვოტები ან სატარიფო კვოტები);

3. თანაბარი დაბეგვრის პრინციპი: ადგილობრივი და იმპორტირებული პროდუქცია იბეგრება თანაბარი საქციზო გადასახადითა და დღგ-თი.

4. იმპორტ/ექსპორტის ლიცენზიები: მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები, რადიოაქტიული ნივთიერებები, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები და სამრეწველო ნარჩენები და სასოფლო-სამეურნეო ქიმიური პრეპარატების გარკვეული სახეობა ექვემდებარება იმპორტ/ექსპორტის ლიცენზირებას. 2005 წლიდან ნებართვების რაოდენობა საიმპორტო და საექსპორტო პროდუქციით ვაჭრობასთან დაკავშირებით 14 ძირითადი ჯგუფიდან 8 ჯგუფამდე შემცირდა.

5. გამარტივებული სატარიფო პოლიტიკით ექსპორტზე: საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ექსპორტი ან რეექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჯო გადასახადისაგან.

სავაჭრო რეჟიმი არის ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი სავაჭრო ურთიერთობა. სავაჭრო რეჟიმი ხელს უწყობს ან პირიქით ზღუდავს ორ ქვეყანას შორის ვაჭრობას. არსებობს სავაჭრო რეჟიმების შემდეგი სახეები: 1. ჩვეულებრივი ვაჭრობა: ანუ ქვეყნებს შორის არ არსებობს არანაირი სავაჭრო პრეფერენციები. 2. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. აღნიშნული რეჟიმი აწესებს ჩვეულებრივ ვაჭრობასთან შედარებით გარკვეულ უპირატესობებს. 3. პრეფერენციების განზოგადებული სავაჭრო რეჟიმი: რომელსაც ანიჭებენ განვითარებული ქვეყნები შედარებით ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს ცალმხრივად და არ ითხოვენ სანაცვლოდ სავაჭრო შეღავათებს. 4. თავისუფალი ვაჭრობა: ორი ან მეტი ქვეყანა თანხმდება ურთიერთ ვაჭრობისას არ გამოიყენონ საბაჟო ტარიფები. გარკვეულ შემთხვევებში ქვეყნებს შორის ფორმდება ამოღების ოქმი, რომელიც განსაზღვრავს იმ პროდუქციის ჩამონათვალს, რომელსაც არ შეეხება თავიდუფალი ვაჭრობის რეჟიმი.

რაც შეეხება არასატარიფო ღონისძიებებს, მაგალითად ლიცენზიებსა და ნებართვებს,მისი რეგულირება ხდება საქართველოს კანონით ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ. ეს კანონი არეგულირებს ისეთ ორგანიზებულ

საქმიანობას ან ქმედებას რომლიც ეხება განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან. კანონით დადგენილ შემთხვევაში ამ კანონის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს აგრეთვე არაორგანიზებულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე.

ეს კანონი ასევე აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს.

ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება ამავე კანონით განსაზღვრულ საქმიანობაზე ან ქმედებაზე, თუ მას ახორციელებს "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული სანიმინისტრო ან მის გამგებლობში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმები და შეთანხმებები: უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი (MFN – Most Favoured Nation): საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზააციის (ვმო) წევრი და შესაბამისად ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (153 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" (MFN) საფუძველზე. აღნიშნული რეჟიმი ითვალისწინებს ვმო-ს წევრი ქვეყებისთვის განსხვავებულ დაბალ ტარიფებს. პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (GSP, Generalized System of Preferences) პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის ძირითადი არსია ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის მხრიდან ეკონომიკურად შედარებითნ სუსტი ქვეყნის დახმარება მათი ექსპორტის განვითარებაში. ამ მიზნით განვითარებული ქვეყნები პრეფერენციების გენერალიზებული სისტემის (GSP) ბენეფიციარების ცალმხრივად (საპასუხო შეღავათების მიღების გარეშე) ანიჭებენ გარკვეულ შეღავათებს საგარეო ვაჭრობაში. კერძოდ, აწესებენ ბენეფიციარი ქვეყნებიდან ექსპორტირებულ საქონელზე საბაზო განაკვეთებთან შედარებით საიმპორტო ტარიფის შემცირებულ განაკვეთებს (ან მთლიანად აუქმებენ მათ), რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე.

ასევე მნიშვნელოვანი საკითხია ისიც, რომ ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების თანახმად, 2014 წლის პირველი სექტემბრიდან ევროკავშირიდან შემოტანილ და საქართველოდან ექსპორტირებულ 9 ათასზე მეტი დასახელების პროდუქციაზე საბაჟო გადასახადი გაუქმდა. იმისათვის, რომ პროდუქცია საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლდეს, მას წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატი – EUR.1 უნდა ჰქონდეს. იმ ქართველი მეწარმეებისთვის, რომელთაც ევროკავშირის ბაზარზე საკუთარი ნაწარმის შეტანა საბაჟო გადასახადის გარეს სურთ, EUR.1 -ის აღება უფასოა. EUR.1 -ის წარდგენის შემთხვევაში პროდუქტი საბაჟო გადასახადისგან თავისუფლდება და ბაზარზე მისი თვითდირებულებაც იკლებს. ქართველ ექსპორტიორებს EUR.1 - ის აღება შეუძლიათ საქართველოს შემოსავლების სამსახურში.

წარმოშობის სერტიფიკატი ძალაშია ექსპორტიორ ქვეყანაში მისი გაცემის დღიდან ოთხი თვის განმავლობაში და ამ ხნის განმავლობა-





ში უნდა წარედგინოს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას, იმ ქვეყანასი მოქმედი პროცედურების თანახმად.

საგულისხმო საკითხია წარმოშობის სერტიფიკატის (EUR.1) მოქმედების შეზღუდვის გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც განსაზღვრულია შეთანხმებაში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველოსა და თურქეთს შორის. მაგალითად, იმპორტული პომიდორი საბაჟო გადასახადისგან არ თავისუფლდება 1 ივნისიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით პრეფერენციული სერტიფიკატის წარმოდგენის მიუხედავად. ეს ღონისძიება მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის, ვინაიდან, ამ პერიოდში ქვეყანაში არსებობს რესურსი, რომ თავად დააკმაყოფილოს მოთხოვნა ამ პროდუქციაზე და შესაბამისად ამ დროს იმპორტულ პომიდორზე თვითღირებულება იზრდება იმპორტის გადასახადით დაბეგვრის გამო. ეს ღონისძიება უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივად წარმოებულ საქონელს ანალოგიურ იმპორტირებულ საქონელთან შედარებით.

ყოველივე ამის ფონზე საინტერესოა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ანალიზი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2016 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 11 966 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 20%-ით მეტია.

- ექსპორტი შემცირდა 4%- ით და 2 114 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

- იმპორტი გაიზარდა 27%- ით და 9 852 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა შეადგინა 7 738 მლნ. აშშ დოლარი და სავაჭრო ბრუნვის 65% დაიკავა.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 137 ქვეყნით განისაზღვრა, საიდანაც დადებითი სავაჭრო ბალანსი დაფიქსირდა 44 ქვეყანასთან.

რაც შეეხება იმპორტს, უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2016 წელს კვლავ სამკურნალო საშალებები იყო 2 892 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 29%.

დასკვნის სახით

ყოველივეს გათავლისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქვეყნის ეკონომიკა დახმარებას საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან. ასევე გასაფართოვებელი და განსაზოგადებელია ზემოთ განხილული პომიდვრის მაგალითის მსგავსად სხვა პროდუქციის მხარდაჭერა, რომლის მიღების საშუალებაც არსებობს ქვეყანაში. განვითარების საწყის ეტაპზე აუცილებლობად შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული პროდუქტის მხარდაჭერა და მისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს ქვეყნიდან ექსპორტზე გადის ის პროდუქტი, ის რესურსი, რომელთა შემდგომ მზა პროდუქციის საწარმოებლად გამოყენებისა და გაყიდვის შემთხვევაში ბევრად მეტი შემოსავლის მიღებაა შესაძლებელი და ეს ქვეყანას აღარიბებს, დარტყმას აყენებს ეკონომიკური კუთხით. მსგავსი ქმედების შეზღუდვა მიზანშეწონილად შეიძლება ჩაითვალოს მოცემულ ვითარებაში, ვინაიდან ეს ქვეყანას აზარალებს, თუმცა ამ რესურსის დაკონსერვება მეტი ზიანის მომტანი იქნება. აქედან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს სამამულო წარმოების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან, ხელთ არსებული რესურსის გამოყენების საშუალებით წარმოების ზრდა ქვეყნის კეთილდღეობისა და მისი ეკონომიკური განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პიერ დე სენარკლენი, იოან არიფენი, საერთაშორისო პოლიტიკა თანამედროვე თეორიები და ამოცანები, მეხუთე გამოცემა, 2014წ.
2. ბრუს ჯენტლესონი, ამერიკის საგარეო პოლიტიკა არჩევნის დინამიკა 21-ე საუკუნეში, 2015წ.
3. http://eugeorgia.info/ka/article/125/qartveli-mewarmeebi-sertifikat-eur1-s-ufasod-aigeben/
4. http://www.bbi.ge/uploads/Import%20and%20Export.pdf
5. file:///C:/Users/Downloads/DCFTA%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%20%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98%20%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1%20%E1% 83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98.pdf
6. http://www.rs.ge/common/get_doc.aspx?doc_id=7271
7. http://jrc.ge/?p=297
8. http://bbi.ge/uploads/training_25.pdf
9. http://www.ei-lat.ge/saqarthvelos-da-evrokavshiris-savatcro-urthierthobebi/363-shethankhmeba-ghrma-da-yovlismomcveli-thavisufali-vatcrobis-shesakheb.html?lang=ka-GE
10. http://jrc.ge/?p=297

MARKET POLICY OF GEORGIA AND ANALYSIS OF FOREIGN TRADE

LELA KOCHLAMAZASHVILI - professor of GTU
NATIA TETUNASHVILI - GTU doctoral student
E-mail: natiatetunashvili@gmail.com

Summary

Foreign trade turnover in the development and growth of the foreign economic policy - one of the most important conditions to ensure the country's foreign exchange revenue growth, promote the expansion of local production and employment of the population growth, the formation of a healthy competitive environment and the economy FF Ukturuli perfection, speed up the country's full integration into the world economic system protsesi.statia discusses politics of trade and foreign trade analysis.

keywords: Trading policy, Non-tariff measures, Trading Mode, Certificate of origin, Export, Import.

РЫНОЧНАЯ ПОЛИТИКА ГРУЗИИ И АНАЛИЗ ВНЕШНЕЙ ТОРГОВЛИ

ЛЕЛА КОЧЛАМАЗАШВИЛИ - профессор ГТУ
НАТИА ТЕТУНАШВИЛИ - докторант ГТУ
E-mail: natiatetunashvili@gmail.com

Резюме

Оборот внешней торговли в развитии и росте внешней экономической политики - одна из наиболее важных условий для обеспечения роста валютных доходов страны, способствовать расширению местного производства и занятости роста населения, Формирование здоровой конкурентной среды и экономики, структурного совершенства, чтобы ускорить полную интеграцию страны в мировую экономическую систему в процессе. В статье рассматривается Министерством внешней торговли и анализа торговой политики.

Ключевые слова: торговая политика, Нетарифные меры, Торговый режим, Сертификат происхождения, экспорт, импорт.